



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000057716953219

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ. N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 4

06 / თებერვალი / 2019 წ.

განკარგულება

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დუისის ყოფილი ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე მდებარე 89.7კვ.მ. არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, ქირავნობის ფორმით ა(ა)იპ „სამოქალაქო აქტივობის ცენტრი“-სთვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.ა. ქვეპუნქტის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, სანყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის სანყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განასორციელოს პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ „სამოქალაქო აქტივობის ცენტრი“-სთვის ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დუისის ყოფილი ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე მდებარე 89.7კვ.მ. არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართის სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით გადაცემა. საკადასტრო კოდი: 50.06.33.067
2. დამტკიცდეს პირდაპირი განკარგვის წესით გასაცემი დუისის ყოფილი ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე მდებარე 89.7კვ.მ. არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართის:
 - სარგებლობის უფლებით (ქირავნობა) გაცემის წლიური ქირის საფასური- 1000 (ათასი) ლარის ოდენობით;
 - სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 3(სამი) წელი.
3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად



თამარ ყვინიშვილი

